



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 2 21 0000161709



25/02/2021

**საქართველოს ანტი-დოპინგური წესების (2021) და დოპინგის სფეროში აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების სია (2021) დამტკიცების შესახებ**

„სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის, მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის (2021), „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2021 წლის 08 თებერვლის N75464, 17 თებერვლის N128350 და 22 თებერვლის N145439 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ნ ა ე ბ ა:**

**1. დამტკიცდეს:**


- ა) საქართველოს ანტი-დოპინგური წესები (2021) - ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
- ბ) დოპინგის სფეროში აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების სია (2021) - ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
მიხეილ ჩხენკელი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'M. Chkhenkeli', with a horizontal line underneath it.